გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 8
2023 წლის 13 იანვარი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2022 წლის 06 დეკემბრის N1000395 6 22 00620459 წერილის საფუძველზე დადგა საკითხი, გორის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში (დიცი და ტირძნისი) არსებული ამბულატორიებისთვის გამოყოფილი ფართების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" – ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან განისაზღვრა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს;

1) სოფელ დიცში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.50.05.012) ნაწილი ფართი, შენობის პირველი სართულიდან 2 ოთახი 40.00 კვ.მ.
2) სოფელ ტირძნისში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.49.07.363) ნაწილი ფართი, შენობის პირველი სართულიდან 5 ოთახი 100.00 კვ.მ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს (ს/ნ 402157330) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონება, კერძოდ:

ა) სოფელ დიცში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.50.05.012) ნაწილი ფართი, შენობის პირველი სართულიდან 2 ოთახი 40.00 კვ.მ.

ბ) სოფელ ტირძნისში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.49.07.363) ნაწილი ფართი, შენობის პირველი სართულიდან 5 ოთახი 100.00 კვ.მ.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**